მივლინების ანგარიში

მივლინების ადგილი	ბაქო, აზერბაიჯანი
მივლინების თარიღი	14-15 დეკემბერი, 2018 წ.
მივლინების მიზანი	მონაწილეობა საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) ახალგაზრდა პარლამენტართა რიგით მეხუთე გლობალურ კონფერენციაში
ღონისძიების თემა	მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, მომავალი თაობის ინტერესების დაცვა
დელეგაციის შემადგენლობა	გიორგი ხატიძე - ფრაქციის „ქართული ოცნება“ წევრი
აქტივობები	საპარლამენტთაშორისო კავშირის ახალგაზრდა პარლამენტართა რიგით მეხუთე გლობალურ კონფერენციაში, 45–მდე ქვეყნის 130–მდე პარლამენტის წევრმა მიიღო მონაწილეობა. კონფერენციის მონაწილეებმა საპარლამენტო ცხოვრებაში, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აქტივობებში ახალგაზრდა თაობის მონაწილეობის მიღებისა და მეტი ჩართულობის შესახებ იმსჯელეს. კონფერენციის მსვლელობისას გაიმართა დისკუსია გარემოს დაცვისა და განათლების სისტემების, საპარლამენტო ცხოვრებაში, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აქტივობებში ახალგაზრდების ჩართულობის შესახებ. ამ საკითხებთან დაკავშირებით, სიტყვით მივმართე კონფერენციის მონაწილეებს და საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ ვისაუბრე. გამოსვლაში ასევე აღვნიშნე, რომ მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართულობის და მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა მოხდეს არამხოლოდ ცენტრალურ სახელისუფლებო ორგანოებში და ინსტიტუციებში, არამედ ადგილობრივ თვითმმართველობების დონეზეც. კონფერენციის ბოლოს მიღებული იქნა შემაჯამებელი დოკუმენტი, სადაც შესაბამისი მოქმედებებია გაწერილი მომავალში ახალგაზრდა თაობის მეტი ჩართულობის უზრუნველყოფისთვის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აქტივობებში.
	მოამზადა გიორგი ხატიძემ *2018 წლის 26 დეკემბერი*